ჭეშმარიტად, რელიგია მარტივია, და ვინც შეეცდება დაუძლეველი ტვირთის აღებას რელიგიაში, ის აუცილებლად დამარცხდება. ამიტომ, იარეთ სწორ გზაზე, ეცადეთ მიუახლოვდეთ მას

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, რელიგია მარტივია, და ვინც შეეცდება დაუძლეველი ტვირთის აღებას რელიგიაში, ის აუცილებლად დამარცხდება. ამიტომ, იარეთ სწორ გზაზე, ეცადეთ მიუახლოვდეთ მას და გაახარეთ თქვენი თავი [იმ სასიხარულო ცნობით, რაც გელით ჯილდოდ]. გამოიყენეთ [კეთილი საქმეებისთვის] დილა, საღამო და ღამის ნაწილი».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ ისლამის რელიგია დაფუძნებულია იოლობაზე და სიმარტივეზე ყველა საკითხში. ეს სიმარტივე განსაკუთრებით დასტურდება მაშინ, როცა არსებობს უძლურების ან საჭიროების მიზეზი. რადგან რელიგიურ საქმეებში გადაჭარბებული სიღრმე და მოქნილობის უგულებელყოფა საბოლოოდ იწვევს უძლურებას, ან საერთოდ, ან ნაწილობრივ ქმედების შეწყვეტას. შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოუწოდა ზომიერებისკენ გადაჭარბების გარეშე; მონამ არ უნდა შეამოკლოს ის, რაც ებრძანა მას, და არც უნდა აიღოს ის, რაც მის ძალებს აღემატება. თუ მას არ შეუძლია სრულყოფილი საქმის შესრულება, უნდა იმოქმედოს ისე, რომ მაქსიმალურად მიუახლოვდეს სრულყოფილებას. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ახარა დიდი ჯილდო იმ მუდმივ ქმედებებზე, თუნდაც მცირეზე, მათთვის, ვინც ვერ შეძლებს სრულყოფილი საქმის შესრულებას. რადგან უძლურება, რომელიც ადამიანის ძალისგან დამოუკიდებელია, არ იწვევს მისი ჯილდოს შემცირებას. რადგან ეს ქვეყანა სინამდვილეში არის მოგზაურობის ადგილი საიქიოსკენ გადასვლისთვის, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ბრძანა დახმარების ძიება ალლაჰის მსახურების მუდმივ შესრულებაში სამი ენერგიული დროის გამოყენებით: პირველი: ალ-ღადვა: მზის ამოსვლამდე, ფაჯრის ლოცვასა და მზის ამოსვლას შორის. მეორე: არ-რავჰა: ზენიტის გადასვლის, მზის შუადღის წერტილის შემდეგ. მესამე: ად-დულჯა: ღამის სვლა მთლიანად ან მისი ნაწილის განმავლობაში. რადგან ღამით მუშაობა უფრო მძიმეა, ვიდრე დღისით, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უბრძანა მისი ნაწილის შესრულება სიტყვებით: "და რაღაც ნაწილი შუაღამიდან".

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/5795